# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერ. ჟურნალი

1917—42, კვირა გიოგობისთვის 5,—ფასი 30 კაპ. წელიწ·დი მეხუთე გამოცემის



მოქანდაკე



იაკობ ნიკოლაძე
20 წლის მოღვაწეობის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სამუსიკო სასწავლებელი.

წარსულ კვირას ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირში ცნობილმა კომპოზიტორმა მ. ბალანჩივაძემ მოხსენება წაიკითხა: გეგმა მომავალ ქართულ სამუსიკო სასწავლებლისა.

მოხსენება ფრიად სიმპატიური და ორიგინალური შინაარსის აღმოჩნდა.

პატივცემულ კომპოზიტორს განზრახული აქვს, გადადგას პრაქტიკული ნაბიჯი თავის გეგმის განსახორციელებლად.

სრულდება ჩვენი დიდი ხნის ნატვრა·

ქართულ ხელოვნებას მიექცა ყურადღება.

ამ მომავალ სასწავლებლის გარშემო შემოკრბებიან ჩვენი სამუსიკო ხელოვნების მოყვარულნი, რომელიც აქამდინ უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ეხლა ეხსნება გზა აყვავებისა.

ჩვენ ნორჩ ახალგაზდობას შეეძლება უცხოეთის მუსიკის გარდა, შეისწავლოს თავისი ეროვნული მუსიკაც!

ვინაიდან ის ერი, რომელსაც თავისი ხელოვნება არ გააჩნია, დაქვეითებულია.

აღნიშნულ კავშირს გადაწყვეტილი აქვს ამ ახლო მომავალში მოიწვიოს ქართულ მუსიკის სპეციალისტთა კრება, სადაც დაწვრილებით შეიმუშავებენ გეგმას ქართ. სამუსიკო სასწავლებლისა.

განსახილველია მ. ბალანჩივაძის გეგმის გარდა, კიდევ რამოდენიმე სხვა გეგმა.

მიზანი ამ გეგმების ერთია:

სრული ნაციონალიზაცია.

განსხვავება წვრილმანებშია!

აი, ამ სპეციალისტების-მიერ დამუშავებულ გეგმის თანახმად უნდა სწარმოებდეს გადაგვარებულ ფილარმონიულ სამუსიკო სასწავლებლის საქმე.

და ამ გეგმისვე თანახმად უნდა გაიხსნას ეროვნული სამუსიკო სასწავლებლები ქუთაისს, ბათომს და სხ.

იმედია, ჩვენი მუსიკის სპეციალისტნი და მოყვარულნი ამ საკითხს დიდ ყურადღებას მიაქცევენ და ამ მნიშვნელოვან კრებას დაესწრებიან.

სგ. წერეთელი

!!!

გამოფხიზლდა ერი ჩემი,
თვითშეგნებამ გაიღვიძა;
ჰსურს თავიდან მოიშოროს
არა მკითხე ლალა-ძიძა!

ჩამოდექით, გზა მიეცით
ჭაბუკსა და სულით ძლიერს
ვეღარავინ ვერ შეუცვლის
დღეის იქით ფერს და იერს!

## ჯერ თავო და თავოო!
### სახალხო საუბარი სადღეისო კითხვებზე

თუ თევზის ჭერა გინდა, წყალი სათავიდან უნდა დასწყვიტოო, ამბობს ჩვენი ხალხი.

ჩვენ კი საქვეყნო საქმის კეთებას სათავის მოუძებნლად ვაპირებთ.

უცხოელთა ნააზრევით გატაცებულთა და უკულმა მოაზროვნე ადამიანთა წყალობით ჩვენი ხალხის ცხოვრება და მოძღვრება, სიტყვა და საქმე ერთმანეთს ვერ შეჰგუებია: ხალხს გულში რომ ერთი უძევს და ყოფა-ცხოვრება ერთსა სთხოვს, ვიღაცისა თუ რიღაცის მოკრძალება მეორეს ავალებს, გაორკოფებულია და ასე, ჩახლეჩილი საკუთარი ბედის გამოსწორებას სხვისი დახმარებით ელის.

ასეთ შეუგნებლობასა და აზრთა განხეთქილებაში ყველაზე მეტად სოფელი იჩაგრება.

სოფელი გაოგნებულია. რევოლიუციის ქარტეხილმა იგიც ჩაითრია, მაგრამ საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარი, დამოუკიდებელი აზრი რომ ვერ გამოუთქვამს, პირში წყალ-ჩაგუბებული ამყოლს ასდევს, დამყოლს დასდევს და ფონი კი ვერ მიუკვლევია!

ჩვენი მომავლის სიკეთე ხალხზეა დაფუძნებული და თუ ეს ხალხი შეგნებით, ერთი რწმენით შეკავშირებული არ ჩაერია საქვეყნო საქმის მოწყობაში, ხომ შეიძლება თავისი მონობის ახალი ბორკილები გამოსჭედოს...

სახემწიფოს სათავე ამღვრეულია და ჯერ კიდევ გარკვეულ გზას ვერ დასდგომია... ამავე მიზეზით ამღვრეულია ჩვენი სამშობლოს ცხოვრება და საკუთარ წყლულთა უცნობნი სხვათა მკვდართა აღდგენაზე ვფიქრობთ!

განა შეიძლება სასიკვდილოდ განწირულს ხვედრი შემოუტრიალო?!

მოვიგონოთ ისტორიის გაკვეთილები:

ბელგეთმა ომის დასაწყისში შესანიშნავი რაინდობა გამოიჩინა, — თავისი მცირე რიცხოვან ლაშქრით წინ აღუდგა გერმანიის მძლეთა მძლეობას და სულ მცირე ხანში თითქმის მტვრად იქცა!...

განადგურდა ჩვენი დროის მოწინავე ქვეყანა!

მოვიგონოთ სერბეთი, მთაშავეთი!

ბევრს ეხსომება ჩვენი შესანიშნავი ისტორიკოს მკვლევარი პატრი მიქელ თამარაშვილი, იტალიეთში ზღვის პირას სეირნობის დროს შენიშნა, ზღვაში ერთი მუშა იხრჩობოდა. ბევრი აღარ უფიქრია მიქელს, ქართველური თავგამოდებით მაშინვე ზღვაში გადაეშვა და ხელი სტაცა; მაგრამ კი ვერ გამოიყვანა, — თითონაც ჩაჰყვა და ამგვარად საისტორიო მეცნიერებას ერთი მნათობთაგანი უცებ გაჰქრა.

თქმა არ უნდა, საქციელი მისი კეთილშობილური იყო, მაგრამ შედეგი?!

ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ და ახლა შინაც მოვიხედოთ.

ჩვენმა ხალხმა ძლიერ ბევრი სხვერპლი შესწირა სასიკვდილოდ განწირულთა სახსნელად მაგრამ ამ პაწაწა საქართველოს განა ისტორიის ჩარხის შემოტრიალება შეუძლიან?

არა და არა!

შინაგან ძალას მოკლებული, უკულტურო თავისთავის ურწმუნო, დაინთქმება. ეს კანონია ბუნებისა და ისტორიის.

და თუ გვ ნდა ჩვენც არ დავიღუპნეთ, საკუთარს თავს უნდა დავუბრუნდეთ, ჩვენი თვითარსებობის პირობები და მოთხოვნილებანი თვით სახლშივე შევისწავლოთ და მისი ცხოვრება ისე მოვაწყოთ...

საქართველოს აღარ ძალუძს თავისი ბედის გადაწყვეტა ცხრამთის იქითელთა გაუმაძღრობასა და მტაცებლობას მიანდოს.

არც ის შეჰფერის, თვისი მომავალი უცხოელთა ხმის უმეტესობას დაუქვემდებაროს.

მკურნალო, თუ იცი რამე ჯერ თავსა შენსა უმკურნალე! — ეს დიდის ხნის ნათქვამია.

კაცო, იცან თავი შენი! ესეც ძველის ბრძნის ნამოძღვრებია.

ჩვენმა ხალხმაც უნდა იცნოს თვისი სატკივარი, თავის თავს უმკურნალოს

გარეშე ამისა ნურას დავეძებთ.

არც ერთი კანონი ეროვნული ცხოვრებისა, არც ერთი გადაწყვეტილება სამშობლო მიწაწყლის მოწყობის შესახებ ჩვენის ხალხის ალაგობრივი კრების დაუკითხავად ძალაში არ უნდა შევიდეს.

ჩვენი ხალხის მცხოვრთა უმეტესობა-კი მხოლოდ უცხოეთში მომზადებული მაღამოთი ფიქრობს მშობელი ერის წყლულთა განკურნებას.

რაშია ხსნა?

დღესაც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც ათხიოდე თვის წინად გამოვსთქვით ერთ-ერთ ჩვენს წერილში, და რასაც ამ ბოლო ხანებში ჩვენში კანტი-კუნტად ზოგიერთი წრეები მოითხოვენ, — სახელდობრ ისა, რომ დროით მოწვეულ იქნეს საქართველოს დამფუძნებელი კრება პარტიულობის მიუხედავად.

ამ კრებამ უნდა გადასწყვიტოს, როგორ მოეწყოს ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება ან ვისთან რა დამოკიდულება იქონიოს!

საქართველოს ეს დამფუძნებელი კრება სათავეში დაუწმენდავს იმ [illegible] წყაროს, [illegible]ლიც ხალხს შხამავს და ან[illegible] ლებს [illegible].

სიტყვა ამ კრებისა მთელი ქართველი ერის კანონი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კრება საჩქაროდ უნდა შესდგეს, ვიდრე რუსეთის დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდეს.
ამ კრებამ—და არა რომელიმე პარტიამ—უნდა უთხრას რუსეთის დამფუძნებელ კრებას რა გვინდა ჩვენ, რაშია ჩვენი ხსნა, ჩვენთან ერთად რუსეთის შეღავათიც...

აი რაშია ხალხურ-დემოკრატიულ მისწრაფებათა გამარჯვების აუცილებლობა!..

იოსებ იმედაშვილი.

ს. ხაშმი
ღვინობისთვის 28, 917 წ.

## გატეხილი ჩანგი

აბობოქრებულ ცხოვრების ზვირთმა
ამიყოლია ჯერედ პატარა;
ბედმა მუხთალმა, ბედმა მსახვრალმა
ეკლიან გზაზე ბევრჯერ მატარა·
ბევრჯერ ჩამიხშო რწმენა იმედის,
ბევრჯერ ჩამიკლა ბავშური გრძნობა,
სამგლოვიარო შარავანდედით
შემოსა ჩემი ახალგაზდობა.
ქვეყნად ვერ ვპოვე თანამგრძნობელი,
თვით სატრფო ჩემთვის ლესავდა დანას,
მწუხრისა ჟამსა მშობლისა ნაცვლად
შავი ყორანი მეტყოდა ნანას...
მეც დავმორჩილდი შავს ბედის წერას,
მეც დავმორჩილდი ყოფნის ქარტეხილს,
და მარად გლოვის ჰანგზე ვაკვნესებ
ჩანგს ნარ-ეკლიან გზაზე გატეხილს.

გ. ძიძაძე

## კიდევ სამუსიკო ხელოვნებაზე*)

ჩვენ წარსულ წერილში შევეხეთ მუსიკას და ის აზრი გამოვთქვით, რომ ეროვნულ მუსიკასთან ერთად აღმოსავლეთის მუსიკაც მშობლიურ მუსიკად უნდა მიგვაჩნდეს და ვცდილობდეთ, როგორც ერთის, ისე მეორის დაცვასა და განვითარებას, ვინაიდან ამას მოითხოვს ეროვნულ იდეის საღ შემეცნების თვალსაზრისითქო.

ასეთი ნააზრევი ზოგიერთ მკითხველს ადვილად აფიქრებინებდა, რომ აღმოსავლეთის მუსიკა არ არის ეროვნული მუსიკა და როგორ შეიძლება იგი ეროვნულ მუსიკად ჩაითვალოსო. ამგვარი ფიქრი მართლაც დასაშვებია, თუ ნათლად არ შევხედავთ საკითხს და კარგად არ ჩავუკვირდებით, ხოლო თუ მოვიხმართ იმ საზომს, რომელიც ჩვენ ზევით დავასახელეთ, კითხვის ახსნაც ადვილი იქნება და დამაკმაყოფილებელიც.

დიახ, ეროვნული იდეა მიგვაჩნია ერთგვარ საზომად როცა ამ საზომით ჩვენ, სხვათა შორის, ვითვალისწინებთ ერის გადაგვარებასა ანუ თავდაცვას. ამ იდეის შემეცნება გვასწავლის, რომ ჩვენ დავიცვათ ენა, ზნე, ჩვეულება, ერის ფსიხიის თავისებურება. რაც ამ მოვლენების დაცვას და მის თავისებურებას განვითარებას ხელს შეუწყობს, ჩვენ ას უნდა გამოვესარჩლოთ, ის უნდა მიგვაჩნდეს გადაგვარების საწინააღმდეგო ერთ ერთ საშუალებად.

ხსენებულ მოვლენებში ძალიან ბევრი მოიპოვება ისეთი, რომელიც ჩვენს ერს არ შეუქმნია, მაგ. ზურნა, დუდუკი, საზანდარი მასთან დაკავშირებული მრავალი ზნე-ჩვეულება, ყველა ეს ჩვენ სხვისგან გვაქვს მითვისებული და თუ ჩვენ ამას უარვყოფთ, როგორც არა ეროვნულს, ეს იქნება ერის ადათ-ჩვეულების უარ-ყოფა, მისი თავისებურების დასამარება. გრძნობის გადაგვარება, რაც ნიშნავს ერის სიკვდილისკენ გადადგმულს ნაბიჯს.

ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ვინაიდან ყოველივე ექვემდებარება დროის, მანძილისა და სივრცის რადენობას, ჩვენი ერიც მოჰყვა ამ ფორმულის

*) უადგილობის გამო, ეს წერილი გასულ კვირის ნომერში ვერ მოთავსდა. რედ.

კანონს და განიცადა ერთგვარი გადაგვარება, რომელსაც ჩვენ დღეს ვთვლით არა გადაგვარებად, არამედ ერის თავისებურებად. მთელი ქართლ-კახეთი და თითქმის იმერეთიც ხსენებულ ხელოვნების ზედ გავლენას განიცდის, ამიტომ მათი უარისყოფა იმეორებ ზნე-ჩვეულებვთა უარისყოფას ნიშნავს; არის ფსიხიის რამოდენათმე დასამარებას რის წინააღმდეგ ჩვენ პრინციპიალურად მოვალე ვართ ვიბრძოლოთ. ამისთვის მათ განვითარებას, გაკოპიტებას უნდა ვცდილობდეთ და არა გვერდს უხვევდეთ. ამით ჩვენ დაუახლოვდებით ხალხს, შევაყვარებთ ხელოვნების ტაძრებს, რაც მოახდენს ერის შემადგენელ აწილთა სრულიერ მობილიზაციას ამ მხრივ ერთ მთლიანად მის შედუღებას. ეს მიმდინარეობა გახდება ერთგვარი ზღუდე გადამგვარებელ მოვლენათა წინააღმდეგ, რომელსაც, როგორც ძლიერს, შეუძლიან ჩვენს ერს ჩაუქლაპოს ნაციონალური გემოვნება: ასეთ ძლიერ ძალად ჩაითვლება ევროპიული ხელოვნება. განა მან არ ჩაუქლაპა ჩვენს ინტელიგენციას მამაპაპური გემოვნება, ეგოდენ ძლიერად, რომ დღეს თავს ვეღარც კი ახწევს და ეჭვს გვიბადებს: ვაი თუ ხალხური სიმღერები ევროპიულად ეგადანათლონ და ამით პრინციპს ეროვნულ ბრძოლისას უღალატონ! მაგრამ ეს მომავლის საკითხია.

დაუბრუნდეთ ჩვენი წერილის საგანს.

დრო-ჟამი ზნეობრივად უფლებას შობს ადამიანთა ურთიერთ ცხოვრებაში. ჩვენი ისტორიული ტერიტორია გაცილებით მეტია, რაც დღეს სინამდვილეს შეადგენს მაგრამ დღეს მას სავსებით ვერა ვფლობთ. ეს დრო-ჟამის ბრალია.

ადათ-წესები ბევრი უცხო ერისა გაგვაჩნია, მაგრამ ჩვენ მისთვის ვიბრძვით, მას ჩვენად ვთვლით. ესეც დრო-ჟამის ბრალია.

ასევე ითქმის აღმოსავლეთურ გემოვნებაზედაც ის ჩვენც უნდა გვიყვარდეს, რადგან მითი სტკბებოდა ჩვენი წინაპარი მრავალ ჟამთა განმავლობაში. მიტომ ჩვენი ფსიხიის რამოდენათმე ჩამომყალიბებელია, მაშასადამე მის დამცველიც...

მუშა მიხ. ლევაძე



ემილ ვერჰარნი,
ბელგეთის სახელგანთქმული მწერალი. გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მკვდრები საფლავიდან სდგებიან

ვუძღვნი ილია ნიკოლოზის ძეს პოდპოლკოვნიკ მეზუკეს.

თოფ-ზარბაზნების გრიალზე ათასობით სცვიოდნენ გულგანგმირულნი.

გულ ამაზრზენი კვნესა, ტირილი, გოდება, წყევლა, კრულვა ისმოდა დაჭრილთაგან მათ მიმართ, ვინც გამოიწვია ომი; ხანაც უკანასკნელი სასოწარმკვეთი ოხვრა ამოხდებოდა ხოლმე მომაკვდავთ. ვიღაცები ჰკვდებოდნენ. სულ-ხორცით იყრებოდნენ. ბრძოლის ველი მკვდართა გვამებით იფარებოდა.

დედა მიწა უმანკო სისხლით ილებებოდა. კვ[illegible]ის თავს გზ[illegible] ვერ აუვლო.

ისმოდა ბარ-ნიჩბების ჩხაკუნი, წერაქვების ცემა: საფლავებს სჭრიდნენ დახოცილთა სამარხავად. ადამიანის მარჯვენა ვერ აუდიოდა საფლავების ჭრას და მკვდრებიც გარეულ მხეცთა საკბილოდ ხდებოდნენ ანდა სამწუხარო ბრძოლის განკითხვის დღიდან უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ. ხშირად მესაფლავეთ რამდენჯერმე უხდებოდათ დამარხულთა საფლავების ჭრა. პირი-ნაყოფ მიწიდან მკვდრების სახე გამოჩნდებოდა ხოლმე. მათი დაშლილი სახე აშკარად ამბობდა:

აქ ადგილი გვიწირავს, სხვა მკვდართა გვამებისათვის არ არის ბინა!

მაგრამ თავისუფალ მიწის სივიწროვის გამო მათ იდუმალ ამოძახილს მნიშვნელობას არავინ აძლევდა და გათხრილ საფლავებში მკვდრებზედ ისევ მკვდრებს აყრიდნენ, ერთი მეორეზედ ალაგებდნენ.

ჰქუხდა, გვრინავდა, ქარი ზუზუნებდა, თოფ-ზარბაზნები შეუსვენებლივ მოქმედებდნენ.

ადამიანებს ხოცავდნენ.

ისმოდა კვნესა, ტირილი, წყევლა-კრულვა გოდება დაჭრილთაგან მათ მიმართ, ვინც გამოიწვია ომი.

ისმოდა ბარ-ნიჩბების ჩხაკუნი, წერაქვების ცემა: დახოცილთათვის საფლავებს სჭრიდნენ. მკვდრებს მარხავდნენ.

უკუნი ღამე იყო.

გმირთა საფლავებიდან მკვდრები წამოდგნენ და უგზო-უკვლოდ დაიწყეს ძრწოლა ხეტიალი. ჩონჩხები სიარულში საშიშრად იგრიხებოდნენ, ძალზე ახმაურებდნენ. მათი დარღვეული ძვლები, რომლებიც მხოლოდ შენარჩუნებულ ძარღვების ძაფებით იყვნენ თავ თავის ალაგს დამაგრებულნი, მოძრაობის დროს ერთი—მეორეზედ ეხლებოდნენ და რაკა-რუკი გაჰქონდათ.

ბევრი ხეტიალის შემდეგ ადამიანის ნასახი თავს წაწყდა მეორე ადამიანის ნასახს ჩონჩხმა ჩონჩხი შეაჩერა, მიესალმა და ჰკითხა:

—საით მიდიხარ?.

—არც მე ვიცი, საით მივდივარ. აქ ვიყავი ხორციელად, ტყვიებს გვიშენდნენ. მოვკვდი, მეგონა მიწაში მოვისვენებდი. ვხედავ იქაც უარესია.

ყოველ ცისმარე დღე გვხდიან თავს და იმდენი ჩამოაქვთ ჩვენთან მიწაში, რომ ტევა არაა ჩვენიანებს თავს გვაყრიან. დიდი სივიწროვეა საფლავებში. ერთ მკვდარს ვერ ნახავ თავისუფლად განისვენებდეს. ეტყობა თავისუფალი ადგილი აღარ უნდა იყოს დედა-მიწის ქვეშ... ეხლა, იქ ყოფას ქვეყნად გამოსვლა ვაჯობინე. დავდივარ, დავხეტიალობ... იქნებ გავხდე რამე მყუდრო ადგილი ვიშოვნო.—მიუგო ჩონჩხმა ჩონჩხს.

—მეც მაგ მიზეზითა ვარ მიწიდან ამოსული და ადგილს ვეძებ მოსასვენებლად. თავისუფალი ადგილი აღარ უნდა იყოს მართლაც მიწის ქვეშ, თორემ აგრე არ შეგვავიწროვებდენ საფლავში და არ შეგვაწუხებდენ.

—შეწუხება ზედ ნურას იტყვით, —გამოეხმაურა მესამე ჩონჩხი, რომელიც შორი-ახლო და უგდებდა ყურს ლაპარაკს. —აქ ცოცხლებს არ გვზოგავდნენ, მკვდრებს მიწაში, ვინ დაგვზოგავს. თავისუფალი ადგილი როგორ იქნება მიწაში, როდესაც ცოცხლებს ნება-უნებლივ ყველას იქითკენ გზავ. ღამის მთელი სოფელი სიცოცხლით განიწმინდოს. საით მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ. ჰკითხა უკანასკნელად თავისიანებს და დიხართ ჩაღრმავებული თვალები მიაპყრ მათ.

არც მე ვიცი, სად მივალთ. ვივლით, ვიხეტიალებთ აგრე. იქნებ მყუდრო ადგილს შევხვდეთ და მოვისვენოთ. -მიუგეს ერთ ხმით მესამე ჩონჩხს.

მეც თქვენთან წამოვალ!...- უთხრა მესამემ მათ და გაჰყვა. ბევრ ძრწოლა ხეტიალში ისინი სხვა ჩონჩხებსაც შეხვდნენ, რომლებიც იმათ ჯგუფს შეუერთდნენ. და გზას გაუდგნენ.

კარგად რომ გაიარეს, მიაღწიეს ზღვას. ზღვის ნახვაზე ერთმა დიდი ხნის მკვდარმა შეაჩერა ჩონჩხები და უთხრა:

—მე მგონია მოსასვენებლად ზღვა აჯობებს. ზღვაში ესლა ყველგან თავისუფალი ადგილია. ზღვის ძირში, სადაც გვინდა მოვთავსდებით. არც არავინ დაგვირღვევს მყუდროებას. მართალია ხინ და ხან ზღვა აღელდება, მაგრამ საფლავებში სივიწროვესა და დედა-მიწიდან ზარბაზნების ხმაურობას, რომლის გაგონებაზედაც ძვლები გვიცახცახებს, იქ გვიჯობს. წყლის ღელვის დროს ჩვენ შეგვიძლია ტალღებთან ერთად ავცურდეთ და ნეტარებით ვიტივტივოთ,..

-მშვენიერი აზრია,—მოუწონა ყველამ ჩონჩხები, ყოფილი ადამიანები, ზღვაში გადაეშვნენ. წყალში ასცურდნენ, ატივტივდნენ და მერე ზღვის ძირში იწყეს ჩაყურყუმალავება, სადაც თავისუფლად მოთავსდნენ.

დიდ-ხანს არ გაუვლია, ზღვაზე ზარბაზნებმა დაიგრიალეს. მტერთა წყალ-ქვეშა ნავებმა და გემებმა ზღვაზე ხალხით სავსე ორთქლ-მავალი დალუპეს. დამხრჩვალი ხალხი ზღვას ძირისკენ დაეშვა. ძირი მკვდრებით გაივსო. ჩონჩხები გაკვირვებულნი წამოდგნენ: არც აქ ყოფილა თავისუფალი ადგილიო და წყლიდან ამოვიდნენ. მკვდრები დღესაც დაძრწიან ქვეყნად, თუმცა ჯერჯერობით არ ჩნდებიან, მაგრამ ეგ მხოლოდ დრომდის. მკვდრებს სწამთ რომ მალე სხვებიც მიჰბაძავენ მათ მაგალითს, წამოდგებიან საფლავებიდან, შეუერთდებიან მათ და ხილულად დაიწყებენ ძრწოლა-ხეტიალს...

ქ. ხონი ევგენი ფურცხვანიძე.



ნიკოლოზ ლენინი—ულიანოვი
მეუმრავლესეთა ბოლშევიკ—სოციალდემოკრატთა ბელადი, რომელიც ამ ჟამათ პეტროგრადის აჯანყებას სათავეში უდგას.

# ზეიმი

იალბუზის მთის მწვერვალზე მამა-პაპათ უკვდავ სულებს,
გაუმართავთ ნადიმობა, საფლავიდან ამოსულებს...
შეჰხარიან სიამითა ლაჟვარდოვან ცის კამარას,
მოციმციმე ყინულთ წინწკლებს, მზეს ბრჭყვიალას,
ვერცხლ-ქამარას
და ავსებენ სიხარულით მოვერცხლილსა ლამაზ ყანწებს,
თანც უყობენ ურთ-ერთს ხელებს, ბევრ ბრძოლაში დანა-
ქანცებს.
იგონებენ სიამაყით წარსულ დროთა შავსა ხანებს,
სპარს-მონგოლთა შემოსევას, სისხლის მწოველ სასტიკ
ჟანებს...
იგონებენ ბრძოლის ველზე გამოჩენილ სასწაულებს
და ვაჟკაცებს ლომ-მდევ გმირებს, მთელი ერის სამკაულებს...
იგონებენ ნეტარ წუთებს, მტრების ბევრჯერ დამარცხებას,
ივერიის „ოქროს ხანას“ და უძლევნიან თამარს ქებას...
ბოლოს შვება-ლხინით, სიხარულის ალღოთ მთვრალნი
ეხვევიან საკოცნელად, აგზნებულნი, ვითა ალნი,
და აფრქვევენ მთის ქეჩოზე ცრემლის წვეთებს ნეტარების:
დრო დაუდგათ სანატრელი, მარადიულ გახარების.
ჯერ საფლავში რომ ეძინათ, სწრაფლ მოესმათ უცხო რეკა:
„ივერიამ ცის ტატნობზე ტანჯვის ქულა გადარეკა!“
სწრაფ შეინძრა მათი ძვლები ცივს და ბნელსა სამარეში,
ახმაურდნენ მრავალ ხმაზე და დაიწყეს შიგ თარეში,
სულები-კი, ვით არწივნი გაექანენ მაღლა მთისკენ
აღტაცებით უწყეს ცქერა ტურფა მხარეს სამხრეთისკენ.
და ამოსკდა მათ მკერდიდან მძლავრი „კუჩხა ბედნიერა“,
თითქო ვიღაც დაჰქორწილდა, ან და ჯვარი დაიწერა...

იალბუზის მთის მწვერვალზე, მამა-პაპათ უკვდავ სულებს,
გაუმართავთ ნადიმობა, საფლავიდან ამოსულებს...

გ. თუთბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა





## დავით ლეჟავა

ახალგაზდა მომღერალი

ღვინობისთვის 8 თბილისის კონსერვატორიაში შესდგა ხმების კონკურსი, ჩაიკოვსკის სტიპენდიაზე, რომელიც ეხლა დაფუძნდა. მომღერალთა შორის მონაწილეობდა ახალგაზდა მომღერალი დათიკო ლეჟავა, რომსლმაც შესანიშნავად შეასრულა არია ოპერა სიმონ „ბოკანეგროდან“ მუსიკა ვერდისა.,

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რო მას მშვენიერი მძლავრი და ლამაზი ხმა აღმოაჩდ. (ბასი) და მასთან შესამჩნევი აუსიკალური ნიჭიც, რის გამოც სტიპენდიაც მას მიანიჭეს.

# მეორედ მოსვლა

სცენები თანამედროვე ცხოვრებიდან 2 მოქმ.

ვუძღვნი ჩვენს სასიქადულო მსახიობს ვასო აბაშიძეს მისი 40 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო.

მომქმედნი:

1, ლუარსაბ რევაზის ძე ყარანგოზიშვილი, სოფ. მემამულე.
2, დარეჯან, ამისი მეუღლე.
3, ტარიელ, სტუდენტი. ) ამათი
4, თამარ, უმაღ. კურ. მსმენელი ) შვილები
5, გაბო არსენაშვილი, სოფლის გლეხი, ლუარსაბის მეზობელი და ნათლიმამა.
6, სოციალ-დემოკრატი მეუმცირესე.
7, სოციალ-დემოკრატი მეურავლესე.
8, ნაციონალდემოკრატი.
9, სოციალ-ფედერალისტკა.
10, ალექსა, ლუარსაბის მოსამსახურე.
11, ყაჯი ოლლი, მეეზოვე.
12, ალმწერი ქალი.

მოქმედება სწარმოებს ქ. თბილისში.

## მოქმედება პირველი.

(სცენა: სასტუმრო ოთახი. ტარიელი ხმა მაღლა კითხულობს საპროგრამო წიგნებს. შემოდის თამარი).

თამარ. ტარიელ, წაიკითხე წერილი? ჩვენები ჩამოსვლას აპირებენ.

ტარიელ ნუ მიშლი, ნუ! (განაგრძნობს კითხვას.)

თამ. რა ვქნა, რა დაგემართა? რევოლიუციამდი წიგნი ჭირივით გეზიზღებოდა ეხლა კი მას აკვდები? მაგრამ ტყუილად ნუ იწუხებ თავს: გლეხი ჩვენ გამოგვყვება, რადგან მათი ინტერესთა დამცველნი მხოლოდ ჩვენ ვართ.

ტარ. სტყუი! თქვენ უტოპისტები ხართ. გლეხს თავი დააკარგვინეთ უთავბოლო ლაპარაკით. ჩვენ კი უფრო რეალურად ვუყურებთ საკითხს. საქართველოში, საცა წვრილი მესაკუთრეობა არის განვითარებული, თქვენ ვერ განახორციელებთ სოციალიზმს.

თამ. რუსეთში? რუსეთზე რაღას იტყვი?

ტარ. რუსეთი სხვაა და საქართველო კი სხვა. ჩვენ ადგილობრივ პირობებსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გავუწიოთ ანგარიში. საჭიროა მუნიციპალიზაცია.

თამ. მაშ თქვენ იცავთ ბურჟუაზიის იდეოლოგიას. გლეხს ხდით ბურჟუად და ასი წლის შემდეგ კვლავ ახალი რევოლიუცია იქნება საჭირო. როგორ ვერ შეიგნეთ, რომ სოციალიზაცია არის ყოველი სიღარიბის მოშორებელი.

ტარ. (ამოოხვრით) ქალო! ეგ გლეხი მიწას არ გაძლევს და რას ჩააცივდი შენი სოციალიზაციით; ჯერ მუნიციპალიზაცია.

თამ. თქვენ, მარქსისტებს, ბურჟუების მხარე გიჭირავთ, ორპირობთ. ხალხს არ გინდათ პირდაპირი გზა უჩვენოთ.

ტარ. დაიკარგე, თქვენმა ფედერალისტებმა ხომ ააშენეთ ქვეყანა. ერთი ბეწვა ხართ და ამოდენას კი გაიძახით. თქვენ ქართველი დაშნაკცუტუნები ხართ; მათიტყუპები ხართ.

თამ. თქვენ კი დემაგოგები ხართ, ჩაიგდეთ საუკეთესო ადგილები და ქეიფობთ. შუაზე რომ გასკდეთ, ხალხი სოციალიზაციას მოითხოვს.

ტარ. ტყუი, მუნიციპალიზაციას...

თამ. არა სოციალიზაციას!..

ტარ. (ყვირის) გეუბნევი მუნიციპალიზაციას

თამ. (ტირილით) სოციალიზაციას!

ტარ. აი, ამ წიგნს თავში გესვრი!

თამ. ამ „კაბლუკს" ხომ ხედავ... (ისმის ზარი. თამარა ენას უჩვენებს ტარიელს და გარბის. ისმის თამარას ხმა: „ჩვენები ჩამოვიდნენ, ჩვენები!" შემოდიან დუარსაბ, დარეჯან და ალექსი, ყველას ბარგი ხელში უკავიათ.)

ტარ. გამარჯობათ დედა, მამა! ალექსი შენც გაგიმარჯოს. მოგვილოცავს ბრწყინვალე დღეები, თავისუფლება, დემოკრატიული რესპუბლიკა! (მიესალმება დუარსაბს.)

დუარსაბ მოიცა, ბიჭო, რა დროს რესპუბლიკაა! ვაგზლიდან ფეხით მოვდივართ, ფაიტონმა რვა მანეთი გვთხოვა! აი გიდი, სად არის ძველი დრო! ვაგზლიდან ორთაჭალაში ფაეტონს ორ აბაზათ მივყავდი და ისიც კი გიკვირდა, რა სიძვირეაო. წაიღე ბიჭო ეს ბარგი, წელი მომწყვიტა ამ ოხერმა ხურჯინმა.

დარეჯან (ტკოცნის შვილებს.) ჩემო გვრიტებო ჩემო ლამაზნო, თქვენი ჭირიმე! რატომ არ ჩამოხვედით სოფელში განა სიცხემ არ შეგაწუხათ? ჩამოვიტანეთ: ყველი, კვერცხი, ხილი, მურაბა, ნაზუქი. განა სოფელში არ ჯობია აქ ყოფნას?

ტარ. ეხ, დედა ჩემო! რა დროს სოფელია, აქ სიცოცხლე დუღს, საჭიროა მუშაობა. შეგიძლიან მომილოცოთ, მე ამირჩიეს მუშათა საბჭოს წევრად...

დუარ. ტვინი გახურსთ, ტვინი! ვაი თქვე უბედურებო! არ გირჩევნია სოფელში ჩამოხვიდე, მიხედო მამულს, მოუარო. ჰაერი კარგია, იქ ყველაფერი ადვილი საშოვნელია .. სოფელს რა სჯობია? მე დღეს ცოცხალი ვარ, ხვალ აღარა ვარ და არ უნდა მიეჩვიო ცხოვრებას?

ტარ. ეხ, მამა ჩემო! შენ ბურჟუა ხარ და მე კი არ მინდა, რომ ბურჟუა ვიყო! აი, შენ რომ მოკვდები, მე ჩვენ მამულს გლეხებს დავურიგებ ვინაიდგან მიწა ეკუთვნის მას, ვინც შრომობს...

დუარ. ბიჭო, შენ ავად ხომ არა ხარ? რას ლაპარაკობ? დარეჯან, მაჯა გაუშინჯე სიცხე ხომ არა აქვს?

ტარ. არა, მამა, მე ავად არა ვარ. აი წაიკითხე ეს; ჩვენი მუნიციპალური პლატფორმა და აგრარიული საკითხია და შენ მიმიხდები... (აძლევს წიგნებს.)

თამ. მამა, მაგეებს ნუ კითხულობ, ჩვენი პარტიის ბროშიურეაი წაიკითხე(აჩეჩებს წიგნებს.)

დუარს. თავი დამანებეთ, არ მინდა თქვენი წიგნები. მე საქმისთვის ჩამოვედი და უნდა წაგიყვანოთ სოფელში, თორემ აქ სულ ჭკუიდან გადირევით! წადი ბიჭო მეეზოვე დამიძახე.

ტარ. მამავ! მეეზოვენი გაიფიცნენ.

დუარ. რაიო? გაიფიცნენო?

ტარ. ჰო, მამავ, გაიფიცნენ და ყოვლად სამართლიანი მოთხოვნილებები წამოგვიყენეს.

დუარ. მერე ეზო და ქუჩას ვინ გვის? ფარანს ვინ ანთებს? ხომ დამაჯარიმეს?

ტარ. ფარანს თამარა ანთებს ქუჩასა და ეზოს მე მივხედავ ხოლმე.

დარეჯ. უი დამიდგეს თვალები, ამას რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვესწარით? თამარა შენ ხომ გასათხოვარი ქალი ხარ, როგორ იკადრე ეგა? მეზობლები რომ დაგცინიან?

დუარ. ბიჭო! ეგ სწავლა განა იმიტომ მოგეცით, ამოდენა ფული დავხარჯე, ამოდე-
მოგეცით, ამოდენა ფული დავ...
ნა ვიწვალე, რომ მეეზოვის ალაგი დაგეჭირ? ადრევე მაინც გეთქვა, ამდენ შრომას არ გა-სწევდი? (შემოდის მეეზოვე)

მეზოვე. გამარჯობა კნიაზჯან!

(თამარა და ტარიელ ხელს ართმევენ მეეზოვეს. მშობლები გაკვირვებით უყურებენ შვილებს.)

ტარ. როგორ არის ამხანაგო საქმე? იყავ კრებაზე?

მეეზ. დიახ, აი მოთხოვნილებანი შენი ქირიმე. (აძლევს ქაღალდს)

ტარ. დაბძანდი ამხანაგო, დედა სკამი მიაართვი ამხანაგს, ამ იშვიათ სტუმარს და ნამდვილ პროლეტარს!

დუარ. ვაიმე, შვილი გამიგიჟდა! აფსუს ამაგო!

ტარ. აი მამავ! წაგიკითხო მოთხოვნილებანი

დუარ. ისე მითხარი რა უნდათ მაგ ჩემი ცოდვით სავსეს?

ტარ. ჯამაგირის მომატება, ჯერ ექვსი თუმანი, და მერე კი ათი უნდა გაუხადო ერთი თვის ოტპუსკი წელიწადში ჯამაგირის შენახვით. ერთი კარგი და დიდი ოთახი. მეეზოვე აღარ უნდა დაუძახო, მიტომ რომ ეგ მის ადამიანის ღირსებას ამცირებს. იმანაც „ბარინი“ არ უნდა დაგიძახოს, არამედ სახელით. მიტომ რომ ბარინობის დრო აღარ არის!

დუარ. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ბიჭო! რა დროს ხუმრობაა, კაცურად მელაპარაკე!

ტარ. არა, მამა, მე როდი ვხუმრობ. გიჯობს დააკმაყოფილო მოთხოვნილებანი, მიტომ რომ ყოვლად სამართლიანია.

დუარ. (უყურებს დარეჯანს) დარეჯან! გესმის ეს ამბავი? რატომ არაფერს არ ამბობ?

დარეჯ. ქა! რა უნდა ვსთქვა? ბურთი და მოედანი მაგათ ჩაუვართათ ხელში.

დუარ. (განცვიფრებული შვილს) ეგრე რომ არ აგისრულო? იქნება აღარ მინდა მეეზოვე?

ტარ. მაშინ შენ უნდა გასწიო მეეზოვობა? ქუჩა უნდა დაგავო, ფარანი უნდა აანთო, ღამეობით ჯოხით ხელში იყარაულო და სხვა: რა საკვირველია, ამეებს შენ ვერ აასრულებ და ძალა უნებურად უნდა დასთმო...

დუარ. კარგი აჰა, რვა მანეთი არ კონდა ორ მანეთსაც მოვუმატებ. სხვარალა უნდა და სულ „გასპადინს ვეძახი! ვახ ჭირიმ?

ტარ. არა, მამა, დაამე, მე ვაძლევ ნახევარს და შენც გაიმეტე.

დუარ. ვა! იქიება შენ გაგიჟდი და მეც უნდა გადვირიო, ეგ სადაური ამბავია? „გასპადინ“ დვორნიკ, კაკ ვაში იმია?

მეეზოვე. ყაჯი მაშადი ზადე, შადი მირზა სულეიმან ოქანდი ოღლი!

დუარ. ვა! მინამ მაგის სახელს იტყვი, რუსები ბერლინსაც აიღებენ! მოდი რაღა მიხა დაგიძახო არ ჯობია? სად დავიხსომო შენი სახელი?

ტარ. არა მამა ეგ მაგის ღირსებას ამცირებს, ჯობია ისე დაუძახო, როგორც ჰქვია. აი, დაგიწერავ და დაიხსოვე (სწერავს) აჰა! (მეეზოვეს) შენ კი ამხანაგო! მამა ჩემს შეგიძლია დაუძახო ლუარსაბ რევაზიჩ და დედა ჩემს კი დარეჯანა ზურაბოვნა.

დარეჯ. უი ქა! რა დროებას მოვესწარი და?

ტარ, ეხლა წადი დადექი ძველ ალაგას სვინდისიერად მოჰკიდე შენს მოვალეობას ხელი, მიტომ რომ შენი მოთხოვნილებანი შესრულებულია. ჰო! წაიღე ეს წიგნიც; მუნიციპალური პლატფორმა, თათრულ ენაზე წერია და გაიგებ. არჩევნებში ჩვენ მოგვეცი ხმა.

თამ. (აჩუჩებს ბროშიურებს) აი ესეც წაიღე და წაიკითხე; მუნიციპალური პლატფორმა სოც.-ფედერალისტების, არჩევნებში მარტო ჩვენ მოგვეცი ხმა (მეზოვე მიდის)

ტარ. ეხლა მამა...

დუარ. (აწყვეტინებს გაჯავრებული.) რის მამა, რა მამა! შენ ტუტუცი ხომ არა ხარ? მეეზოვის ღირსებას უფრო მაღლა აყენებ ვიდრე მამა შენის, რომელმაც ამდენი ამაგი რ-გდო აგრე დამცირება გაგონილა, კიდევ?

(შემდეგი იქნება)

სვ. წერეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კიტა აბაშიძე
შავი ქვის მრეწველთა სიეზდის თავჯდომარედ არჩეული.



გიორგი დურ. ჟურული
შავი ქვის მრეწველთა სიეზდის თავჯდომარის ამხანაგი

## ნერვების სექვა
(მწვანე დღიურიდან)
(დასასრული. იხ. „თ. და ც". № 41)

ღმერთო ჩემო; რა საშინელებაა ცხოვრება! რა ორპირი და ფლიდნი არიან თვით ჩინებულნი შვილ ნი მიწისა;
რისთვის ბღვივებდი ჩემში იმ გრძნობას, რომელმაც ცოცხლად მაწამა და არაფერი სამაგირო კი არ მომცა;
მიტომ რო მოგისმინო შენი სხვისდამი კაზმული გრძნობა!...
მაგრამ მინდა ყველაფერი დავივიწყო, არაფერზე არ გიფიქრო.
ხომ გნახე, და ესეც საკმარისია ჩემთვის.
აი ვსადილობთ ერთად. გავერთედ ლაპარაკით. მე მემუსაიფებოდი წყნარად, მეგობრულად.

მე ხო მუდამ შენი მესაიდუმლე ვარ. მავიწყდება სიმწარე. გახალისდა გული ჩემი ცქერით, მაგრამ ტკბილს რო ვათავებდით, შენ უცბათ უკმაყოფილო კილოთი მითხარი:
„რათ დამიბარე? არ ღირდა ჩამოსვლა, მაგას იქაც მომწერდიო!«

რა, რა უნდა მეთქვა შენთვის!

ცრემლები მომადგა. ძალა დავატანე ჩემ თავს და შევიკავე.

განა მაგას მოველოდი?

მე ხომ შენი ნახვა მწყუროდა! და შენ კი...

რა ტლანქი, რა საშინელია ს[illegible]თოდ მამაკაცი! ჩემი ზიზღი და კრულვა თქვენს თავს, მეჯავრებით სულ, სუყველა! ნუ თუ ვერ წარმოიდგენ ისეთ გრძნობას რო მხოლოდ ადამიანის ნახვისთვის შეიძლება ცხრამთის გადალახვა!

შენ წაიკითხე ჩემ სახეზე საშინელი ღელვა და შეწუხდი. ხელოვნურად გადმოაკეთე შენი ნათქვამი..;

კვლავ სიბრალული!

იცი, თუ როგორ მძულდი შენ იმ წუთებში. როგორ მინდოდა მაშინ შენი წყენინება. და მაგ აზრით გაგშორდი საღამომდის.

ნეტავი კი იმ საღამოს გარეთ არ გამოვსულიყავ შენს შესახვედრად

ის საბედისწერო საღამო იყო, წყეული საღამო!!

შენ კარგ გუნებაზე იყავი: ჰკიკიკობდი უდარდელად, დაიწყე ძველებური სიტყვების ბურთაობა, ლიმაზი კარგი სიტყვების, გრძნობაზე მელაპარაკებოდი; მე ბედნიერათა ვგრძნობდი თავს შენს ახლოს.

მაგრამ რა ცუდია და ძნელი იარის გამწვავება..

უცბათ სერიოზულათ, ამოოხვრით მითხარი: იცი დღეს დილაადრიან გავიღვიძე, გავაღე ჩემი ფანჯრები, ადგილს ვერ ვპოულობდი სულ შენზე ვფიქრობდი, და საშინლად!

თავი ვერ შევიმაგრე და ისტერიულად გადავიხარხარე.

შენ იწყინე! არა მე შენ სულაც არ დაგცინოდი!

მე ჩემ თავს დავცინე, ჩემ ნდობას, ჩემ ბავშურ ქცევას...

ეს განა სასაცილო არა არი?

რად გეწყინა? შენ ისე წრფელად ლაპარაკობდი, ისე გჯეროდა შენი სიტყვების სინამდვილე. რო ოდნავაც ეჭვი არ მებადებოდა მათს სიცხადეში.

მაგრამ შენ იწყინე.

მე ბოდიში მოვიპადე! მევე ბოდიში მოვიხადე! არ მინდოდა შენი გაჯავრება, შენ ისეთ კარგს გუნებაზედ იყავი. ისე კარგათ იდიმებოდი, რო ცოდვად მიმაჩდა შენი წყენა.

რას ჰფიქრობ ახლა! რას ჰგრძნობდი მაშინ, როცა შენთან განვაგრძობდი ბაასს და იქ დამსწრე ჩვენს ამხანაგებს წარბის შერხევითაც კი გავაგებაინე ჩემი ტანჯვა...

რა ძნელია ცრემლები, რომელიც თვალს კი არ ნამავს, არამედ სულის სიღრმეში ქვეწავს სისხლის წვეთებად.

როცა სახლამდის გამაცილე, და გამოგვემშვიდობე, გულმა არ მომითმინა და გითხარი:

—„ნუ გამიწყრებით, მე თქვენზე არ ვიცინოდი, დღეს დილით მოველ და თქვენ ტკბილად გეძინათ!“

გაშტერებული ჩამხედე თვალებში და ჩაფიქრებულმა მკითხე:

—მართლა, ნუ თუ მართლა?

დიახ, მართალია. მე მოწამეც მყავს.

მაგრამ იცი ყოველივე, რაც ოდესმე ჩემთვის გითქვამს, ყოველივე ის სილამაზე, ის სიფაქიზე: ისეა მოკლებული სინამდვილეს, როგორც უკანასკნელი ბაასი ჩემთან.

ეს იყო ერთად-ერთი დღე.

რამდენმა გრძნობამ გადირბინა ჩემს გულზე ამ ერთი დღის განმავლობაში! ეს იყო დღე ლხენის, ტანჯვის, ცრემლის, სიცილის.

მე მაინც არ გემდური.

შენ იცი წრფელი ხარ მაინც და მაინც.

მაგრამ იცი როდის?

როცა სიყვარულზე ლაპარაკობ მაშინ კი არა!

არა!

მოუთმენელად წამ და უწუმ საათს ჩასცქერი გასაქცევად, ან ხმა-მაღლა გემრიელად ამთქნარებ, თუნდ გაჩაღებულ დარბაზში ვიყოთ.

შენს მოწყენილობას რო არ მალავ, ეგეც კარგია და მაგისთვის მადლობას გწირავთ.

არაფერი არ შეედრება წრფელს სიტყვასა და ქცევას.

ეს ყოველივე იყო ერთი დღის განმავლობაში.

უკანასკნელ დღეს, შეხვედრის და განშორების დღეს.

მარიჯან



ხაშმელ მომღერალ-მგალობელთა გუნდი, გიორგი ეპიტაშვილის ლოტბარობით.

## მოწოდება

### ქართველ საზოგადოებისადმი.

ქართ. მომღ.-მუსიკოსთა კავშირმა დაადგინა თავისი მშობლიური ხელოვნება დააყენოს სასურველ დონეზე და შეებრძოლოს ყოველ დაბრკოლებას, რომელიც კი გადაეღობება ამ მიზანს.

ამიტომ მან საჭიროთ სცნო ქართული ფილარმონიულ საზოგადოების გარდაქმნა: გაერთიანება ნაციონალიზაცია და სათავეში ჩაუყენოს იმნაირი მცოდნე პირნი ჩვენი მუსიკისა, როგორიც: დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, მ. ბალანჩივაძე, ყარაშვილი ია. გარგარეთელი, კ. ფოცხვერაშვილი, ნ. ქართველიშვილი და სხ.

ვთხოვთ ყველა ძველს და ახალს წევრთ, რომელნიც ჩაეწერენ იოს. იმედაშვილთან, კუჭაიძესთან, ლორთქიფანიძესთან და სხ. დაესწრონ კვირის კრებას დილის 12 საათ სლეპცოვის ქუჩა, № 4 ვერაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



—ჟურ „თეატრი და ცხოვრების“ თანამშ-ს. ხაშმზე ორშაბათს ღვინობისთვის 23 გაიმართა სახალხო საღამო 1, იოსებ იმედაშვილმა ისაუბრა თანამედროვე კითხვებზე. საუბარი გაგრძელდა თითქმის 1ს. საუბარში გაშუქებულ იქმნა თითქმის ყოველი კითხვა მიუკერძოებლად; 2, თამარ მაჭავარიანისა და გ. გუდიაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნა „დედა და შვილი“ 3, ანნა გ. ქიქრაშვილმა, თამ მაჭავარიანმა და ელ. გოშაძემ წარმოსთქვეს ლექსები, ხოლო მუშა მ. დევაძემ დაუკრა თარზე. შემდეგ გაიმართა ცეკვა. საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. შემოსავალი 90მ. 50კ. ხარჯს გარდა 14 მან სათეატრო ფონდს გადაეცა, ხოლო 50 მ. ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ. ზემოთ ხსენებულ პირთა გარდა საღამოში უსასყიდლოდ მონაწილეობა მიიღეს გ. ვამიტაშვილმა, ვანო პეტ. ქიქრაშვილმა ვანო პაატაშვილმა ს. გარძელაშვილმა, ის- გარძელაშვილმა, გ. ჭიაბრიშვილი, რომელნიც დიდი მადლობის ღირსნი არიან.

დამსწრე

**სახალხო სახლში** ოთხშაბათს, 1 ნოემბ, წრემ კ. შათირიშვილის რეჟისორობით წარმოადგინა ვ. გუნიას მიერ ნათარგმნი დრამა—უბედური და ა ცაგარლის კომ. —ქკუისა მჭირს. დრამამ სუსტათ ჩაიარა. მოთამაშეთ რაღაც უსიცოცხლობა ეტყობოდათ. ზოგიერთებმა როლიც ხეირიანათ არ იცოდნენ. დრამაში უმთავრესად ყურადღება მიიპყრეს: ნ გოცირიძემ —მსაჯული, ნ ჭანკვეტაძემ,—სანჩო გოგოლაშვილმა —პიეტრა, აღსანიშნავია ა თავდგირიძეც — მარციელი, თუ მცა ალაგ—ალაგ შესამჩნევლად მოიკოჭლებდა. კომედიამ მხიარულად ჩაიარა, ნ გოცირიძემ—გრიქურა და გ ანაშვილმა —ბუღდანა, თავიანთი მოხდენილი თამაშით საზოგადოება ბევრი აცინეს, ხალხი ბლომათ დაესწრო მაგრამ ჩვეულებრივ უწესრიგობას, უდროოთ სიცილს ყვირილსა და თითქმის ბღვილს მაინც ვერ ასცდა, ნუ თუ ამ თავდაუჭერლობას არ მოეღება ბოლო?

მარიხი.

## წვრილი ამბები

**ქართულ კლუბში** კვირას დილის 12 საათ. ღვინობისთვის 29 ქართულ დრამ. დასმა დასდგა პიესა: „ქრისტინე.‘‘ წარმოდგენამ კარგა ჩაიარა და მაყურებლებიც ბევრი აატირა. ა. ქიქოძის ასულმა ჩინებულად შეასრულა ქრისტინეს როლი. სხვები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. კარგი იქნება, ამნაირი პიესები ხშირად იდგმებოდეს.

ორშაბთს ღვინობისთვის 30 ამავე დასმა დასდგა ვ. გუნიას პიესა: „ძალა აღმართსა ხნავს“ ამ საღამოს განსაკ. ყურადღება მიიქცია ალ. იმედაშვილმა ვახტანგის როლის შესრულებით. მისმა ბუნებრივმა და ნიჭიერმა თამაშმა ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. ორივე წარმოდგენას ხალხი მრავალი დაესწრო. აღსანიშნავია რეჟისორ ვ. შალიკაშვილის ნაყოფიერი მუშაობა.

**ს. ერთაწმინდელი** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მისი პიესების საავტორო უფლება გადაცემული აქვს ქართველ მსახიობთა კავშირს და დამდგმელებმა ნებართვა იქიდან უნდა აიღონ. პროვინციებში კავშირის აგენტისაგან.

**ახალი პიესა** სამმოქმედებიანი ეპიზოდი სიკვდილით დასჯა დასწერა ერთაწმინდელმა.

**ნ. გ ქ რთველიშვილი** თბილისის სახემწიფო თეატრის კომისრათ აირჩიეს.

**ქართველ მომღერალ მუსიკოსთა კავშირი** უკვე შეუდგა ქართულ ოპერების მზადებას. დაწვრილებით ცნობების გაგება და ჩაწერვა შეიძლება კავშირის თავჯდომარე ვარდენ ლორთქიფანიძესთან ანუ მდივან სვიმონ წერეთელთან

**ფოთის ქალ**—ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეებმა დაარსეს დრამატიული წრე და კომიტეტიც აირჩიეს 13 წევრისაგან შემდგარი.

**რუსეთში მეუმრავლესეებმა** (ბოლშევიკებმა) აჯანყება მოახდინეს. მოსკოვის და პეტროგრადის ქუჩებზე ბრძოლაა. ალაგ—ალაგ მეუმრსვლესენი დამარცხდენ. ყაზაკობა და იუნკრობა კერენსკის მხარეზეა. კავკასია შვიდობიანათ შეხვდა ამ ამბავს. მდგომარეობა ჯერჯერობით გამოურკვევლია.

**ქართულ კორპუსის** შედგენას ნება დართეს. კორპუსში სამოც ათას კაცამდინ იქნება. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ქართველ სამხედრო კავშირში.

**დამფუძნებელ კრების** არჩევნების სამზადისი დაიწყო. არჩევნები მოხდება 12—14 გიორგობისთვეს.

**ქართული უნივერსიტეტი** გაიხსნება პირველ იანვრიდგან.

**მივიღეთ ანგარიში** ქართულ ფილარ. ს-ზა. მოწაფე ყოფილა 120 აქედან ქართველი 90. 1906 შემოსავალ—გასავალი ქონდათ 10000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მიიღება თბილისში, ხელის მოწერა—ბაზრის ქ· № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახ. არჯევანიძისა.
**საფოსტო** მისამართი: **თბილისი**, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ — იოსებ იმედაშვილს.

# ქართული კლუბი

**1 კვირის პროგრამა**

**კვირა**—საღამო წარმოდგენა.
**ორშაბათი**—ოპერა. მუსიკა
**სამშაბათი**—საოჯახო საღამო
**ოთხშაბ.**—სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.
**ხუთშაბ.**—ქართ. წარმოდგენა. მუსიკა
**პარასკ.**—ოპერა.
**შაბ.**—საოჯახო საღამო
**კვირა** რუსული—წარმოდგენა.

**სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობას**

განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში გამართოს გამოსაცდელი წარმოდგენა. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ წარმოდგენაში შეუძლიან ჩაეწერონ წრის კანტორაში ყოველ დღე საღამოს 7—9 სათამდე.
მიხეილის პროსპექტი № 102.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**